საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N385 2024 წლის 18 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ა(ა)იპ – საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულებებისა და აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში შესაბამისი ბენეფიციარებისთვის გრანტების გაცემის შესახებ

1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოში საგარეო დახმარების კოორდინაციისა და საქართველოს სამინისტროების მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №238 დადგენილების შესაბამისად:

ა) მოწონებულ იქნეს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ა(ა)იპ – საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ (ს/ნ: 204874421) შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულებები: „კულტურის სფეროში გრანტის გაცემისა და გამოყენების შესახებ“ და „სპორტის სფეროში გრანტის გაცემისა და გამოყენების შესახებ“;

ბ) საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიეცეს თანხმობა, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული საგრანტო

ხელშეკრულებების ფარგლებში შესაბამისი ბენეფიციარებისათვის (კულტურისა და სპორტის სფეროებში მოღვაწე ფიზიკური პირებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის) გრანტების გაცემაზე.

2. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გრანტების გაცემის შემთხვევების მიმართ არ გავრცელდეს „საქართველოში საგარეო დახმარების კოორდინაციისა და საქართველოს სამინისტროების მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №238 დადგენილების 1^2 მუხლით დამტკიცებული „საქართველოს სამინისტროებისა და სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გრანტის გაცემის წესის“ მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საგრანტო ხელშეკრულებებში შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებ(ებ)ისა და დამატებ(ებ)ის შეტანა ან საგრანტო ხელშეკრულებების მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ცვლილება, გარდა გრანტის მიღების მიზნის, მოცულობისა და სახსრების (ფულადი თუ ნატურალური ფორმით) გამოყენების კონკრეტული მიმართულების ცვლილებისა, მის ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდგომ, გადაწყდეს ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს მთავრობასთან დამატებით შეთანხმების გარეშე.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**